შეთანხმების აქტი

თბილისი

16 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ შენგელიას სახით და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბაიდარაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „ერა", წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ჭანტურიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ერა"ს წერილობითი მომართვის (14.12. 2016) საფუძველზე და 2016 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #50 ხელშეკრულების (ელექტრონული ტრენდერი SPA 160019624) პირობების გათვალისწინებით ვთანხმდებით:

1.შპს «ერამ» ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ძირითადად შეასრულა, რისი ანგარიშსწორება მოხდა წარმოდგენილი ფორმების მიხედვით;

2.შპს «ერამ» ვერ განახორციელა გაზის მილების გადალაგების სამუშაოები, ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტომ, მიუხედავად არაერთი მიმართვისა, არ გასცა შესაბამისი სამუშაოების ჩატარების ნებართვა. სატენდერო პირობებისა და «ყაზტრანსგაზის» მიერ შემუშავებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ღია წესით. მერიის აღნიშნულმა სააგენტომ მოითხოვა სამუშაოს დახურული წესით ჩატარება, რამაც ხარჯთაღრიცხვის 50%-იანი ზრდა გამოიწვია;

3.მიუხედავად წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა, რომელიც მიზანშეწონილად არ თვლის ამ ლოკაციაში დახურული ტიპის სამუშაოების ჩატარებას, მერიის აღნიშნულმა სტრუქტურამ პოზიცია არ შეცვალა და ნებართვა კვლავ არ გასცა;

4.გამომდინარე ზემოთქმულიდან და იმ ფაქტიდან, რომ სამუშაოების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული «შპს ერას» მიზეზით, მოეხსნას მიმწოდებელს საჯარიმო სანქციები 2016 წლის 12 ოქტომბრიდან, როდესაც მან სხვა დანარჩენი სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია წარმოადგინა.

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი

გიორგი ბაიდარაშვილი

სსიპ მიხ. შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის

დირექტორი რამაზ შენგელია

შპს «ერას» დირექტორი

თეიმურაზ ჭანტურია